იუნკერთა სამწყობრო მომზადების ჩატარების პროგრამა

პროგრამის მიზანია დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნულმა იუნკერმა, შეიძინოს სამწყობრო მომზადების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება, გამოიმუშავოს პირადი შემადგენლობის მართვის, დროის კონტროლისა და სწორი კომუნიკაციის უნარები.

იუნკერთა სასწავლო ბატალიონში, სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველდღიურად ტარდება ღონისძიებები რომელიც მოიცავს სამწყობრო მომზადების ელემენტებს.

დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნული იუნკერები, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დაამტკიცებული სამწყობრო მომზადების პროგრამის მიხედვით მოამზადებენ და პრაქტიკულად განახორციელებენ სამწყობრო მომზადების პრაქტიკულ მეცადინეობებს.

სამწყობრო მომზადების ჩატარება ხდება საქართველოს მთავრობის „საქართველოს სამხედრო ძალების სამწყობრო წესდების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 16 აპრილის დადგენილების მიხედვით.

იუნკერი გამოიმუშავებს სამწყობრო მომზადების ჩატარების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებს რომ სწორი კომუნიკაცია დაამყაროს დაქვემდებარებულ ქვედანაყოფთან, ზუსტად აკონტროლს დრო, დახვეწოს ქვედანაყოფის მართვის უნარები და გამოიმუშავოს თავდაჯერებულობა პირად შემადგენლობასთან მუშაობისათვის.